572
1986

ISSN 0132-5965

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ფერწერა

1986 ივნისი № 6

ბავშვებო, ყველამ კარგად იცით, რომ 1 ივნისი თქვენი დღეა, ბავშვების დღე. პირველად იგი აღინიშნა ამ 36 წლის წინათ, 1950 წლის 1 ივნისს, მაშინ, როცა ისტორიაში ყველაზე საზარელი, ყველაზე სისხლისმღვრელი ომის—მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თანდათან გონს მოდიოდა, წელში იმართებოდა კაცობრიობა.

ეს დღე ქალთა ერთ-ერთი მსოფლიო ორგანიზაციის შეკრებაზე დაწესდა; დაწესდა, რომ ყოველწლიურად საქვეყნოდ შეახსენოს ყველას—ბავშვები უძვირფასესი რამ არის, ბავშვებს გაფრთხილება უნდა, ხელისგულზე ტარება... მაშინ არც ერთი ხელი არ მოიცლის საიმისოდ, რომ ომის იარაღი გაჭედოს... მაშინ ყველა ხელი მზისკენ აზიდავს ბავშვებს, ვისაც მზესავით სჭირდება მშვიდობა, ჯანმრთელობა, განათლება, ბედნიერება...

ახლაც, კიდევ ერთხელ, მსოფლიო თქვენზე ფიქრობს! წლევანდელი წელი—1986 წელი მშვიდობის საერთაშორისო წლად არის გამოცხადებული.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყველამ თქვენზე უნდა იფიქროს, რომ მშვიდობის მტრედის ფრთებმა უნდა დაგიფაროთ თქვენ ამ ქვეყნად ყველაზე დიდი საშინელებისაგან...

ნურავინ შიშობს!—თქვენ ხელის გულზე ჰყავხართ მსოფლიოს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

13207

საქართველო მზის მხარეა

ჯანსულ ჩარკვიანი

თოვლი დადო მთაწმინდაზე
მტკავლზე თუ ცხრა ციდაზე,
მარჯვნიდან მზე,
მარცხნიდან მზე,
როგორც თასი მარწყვით სავსე.
საქართველოს სვეტაკ სახეს
მილიონი მზის ხალი აქვს,
საქართველო მზის მხარეა,—
დედა, როგორ მიხარია.

აცრები

ტარიელ ჯანტურია

არც არაფრის მეშინია,
არც ტირილი არ ვიცი!
საჭირო?—მითხარით და,
თუკი მეტევით, ავიცრი.
სულ არა ვარ ჭირვეული,
სულ არა ვარ ავი ზნის!
ყვავილსა და ჩუტყვავილას,
თუ მეტევიან, ავიცრი!
სურდოს აცრა შეიძლება?—
აი, ეს კი არ ვიცი!
შეიძლება? მაშინ, მმაო,
მაგ ოხერსაც ავიცრი.

მთლად ხნიერი არ გეგონოთ,
ვარ ჯერ მხოლოდ სამი წლის!
აცრებს იწვებთ? მაინც რისას?—
მითხარით და ავიცრი!
არც ეკუნა, არც ანანო,
არც სოფიკო, არც ლილი,
არც სალომე, არც მამუკა
არ არიან აცრილი!
დამიჯერეთ, თუკი ვინმე
აუცრელი კიდევ ხართ:
თუ აიცრით, არასოდეს
ფრჩხილიც არ აგტკივდებათ.

სუ.ქ. სს., კ. მარქსის სახ., სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

მხატვარი სოფიო კინწურაშვილი

კარლო ტაბატაძე

ია-ია, პაწაწინა რობოტი და ყვანჩალა

ხის გამხმარ ტოტზე ყვანჩალა შემომჯდარიყო და გაზაფხულის მზეზე გვერდებს ითბობდა. ხან ჩასთვლემდა, ხან ტყის პირას ამოსულ ია-იას თვალს შეავლებდა ხოლმე. „რა ლამაზია“, გაუელვებდა, და ფრთებს უნდილად შეაფათქუნებდა. ანაზდად, მინდორ-მინდორ მომავალ რაღაც არსებას მოჰკრა თვალი.

ყრანტ! — გაუკვირდა ყვანჩალას. „ნეტა ვინ არის!? დაიცა, კარგად გავახილო თვალი, დავაკვირდე! ანცი ვინმე არ იყოს. ქვა არ მდრუბოს.—ჯერ ცალი თვალი გაახილა, მერე მეორე: „ეს ბიჭი არ არის, არც კურდღელია, თუმცა თავზე რაღაც ყურები თუ რქები აქვს“.

ამასობაში არსებამ მინდორი გადმოკვეთა. „არა, საშიში არ უნდა იყოს“, განაგრძობდა ფიქრს ყვანჩალა, „არც თოფი უჭირავს და არც ქვა“.

ყვანჩალამ ისევ მილულა თვალი. ამ დროს მიკნავებული კვნესა შემოესმა.. უცხო არსება იას წამოსდგომოდა თავს და ფეხი ხასხასა ფოთლებზე დაებიჯებინა.

— ეი, შენ! — დაიყრანატლა ყვანჩალამ, — ვერა ხედავ, იას ფეხი რომ დააბიჯე?!

— იას? — გაიოცა არსებამ, — ია ვინ არის?

— შენ თვითონ ვინ ოხერი ხარ! — გული მოუვიდა ყვანჩალას.

— მე ჭკვიანი მანქანა ვარ, რობოტი!

— ჭკვიანი?! — გადაბჟირდა ყვანჩალა: — ჭკვიანი ვარო, ია კი არ იცის. სკოლაში არ გივლია, ია არ გისწავლია?.. აი ია! — დასძინა თავის მოსაწონებლად.

— სკოლაში?! — ჩაფიქრდა რობოტი, არ ვიცი... მე ადამიანებმა კიბერნეტიკის ინსტიტუტში შემქმნეს, მაქვს ჩემი მეხსიერების ბლოკი...

— რაო, რა მაქვსო?! — ისე დაინტერესდა ყვანჩალა და კისერი წაიგრძელა, კინაღამ ხიდან გადმოვარდა.

— მეხსიერების ბლოკი. — გაიმეორა რობოტმა. — რასაც დამავალებენ, ჩავიწერ, დავიმახსოვრებ, და მერე ყველაფერს ზუსტად თანმიმდევრობით ვასრულებ...

— ცოტა იქით გაიწი რა! — გაისმა ია-იას ვედრება.

— გვერდზე გადექი, გეუბნებიან! და საერთოდ დაიმახსოვრე, ჩაიწერე მაგ შენს მეხსიერების ბლოკში: პატარა არსებები არ უნდა დაჩაგრო, განსაკუთრებით ბუნების ისეთი ლამაზი შვილი, როგორიც იაა.

რობოტმა გადაინაცვლა და ანაზდად ხეს დაეჯახა. ყვანჩალამ თვალები გადმოკარკლა და გადმოსჩხავლა:

— თუ ვერ იხედები, რას დაეხეტები!

— მე და ჩემს ტყუპის ცალებს ქარხანაში უნდა გვემუშავა. აქ სადღაც ახლოს ქარხანა ააშენეს.

— ჰო, ეგ ვიცი! — შეიფერა ცოდნა ყვანჩალამ და გაიფუყა.

— მანქანით რომ მივდიოდი, ძარიდან გადმოვვარდი... სამართავი პულტი ჩაირთო და აქეთ წამოვედი... რა მეშველება, აღარ ვიცი. — განაგრძობდა რობოტი, — იქ, ქარხანაში, სხვადასხვა მანიპულაციები უნდა შეგვესრულებინა.

— რა, რა? — ისევ დაინტერესდა ყვანჩალა და სკუპით ადგილი მოინაცვლა ტოტზე. — მანიპლუ... მანიპლუ... — ვერაფრით ვერ წარმოთქვა ეს უცხოური სიტყვა.

— მანიპულაცია რთული საქმეების შესრულებაა, — განუმარტა რობოტმა, ამიტომაც ჩვენ პაწაწა რობოტ-მანიპულატორებსაც გვეძახიან.

— ეს რაები ესმის ჩემს ბებერ ყურებს — შეიცხადა ყვანჩალამ, „ნეტა ერთი ეგ მეხსიერების ბლოკი მომცა, რამდენ რამეს დავიმახსოვრებდი“! ჩაფიქრდა და მერე მთვლემარემ იკითხა: — კი მაგრამ აქ უნდა იყო?

— რა ვიცი, აბა, საით წავიდე? — უნუგეშოდ მიუგო პაწაწინა რობოტმა და ფეხი გადადგა.

ისევ გაისმა ია-იას კვნესა. რობოტს ისევ ფეხი ფოთოლზე დაებიჯებინა. ყვანჩალამ ველარ მოითმინა, ფრთები შეაფათქუნა და ქვემოთ დაეშვა.

— რას ერჩი ამ პატარა ლამაზ ყვავილს? — მივარდა ჩხავილით რობოტს, — გული არა გაქვს?!

— გული?! — გაოცდა პაწაწინა რობოტი, — რა არის გული?

—როგორ?! — შეცბა ყვანჩალა, რობოტი ერთხელ კიდევ შეათვალიერა და შეშინებულმა ჰკითხა: — გული მართლა არა გაქვს?

— არა!

— არა?! — საგონებელში ჩავარდა ყვანჩალა, — მაშინ შენ არც სიყვარული გეცოდინება. აი, ამ ბუნების, სილამაზის სიყვარული!

— არა, არ ვიცი... — დაიმორცხვა პაწაწინა რობოტმა.

— ნუ, ნუ ამბობ ამას! — შესჩხავლა ვედრებით ყვანჩალამ. — დედა, ეს რა გავიგონე, დედა, ეს რა გავიგონე! — მოჰყვა ქოთქოთ-ყრანტალს.

„არა, ამ რობოტის დატოვება არ შეიძლება!“ დაასკვნა მერე. „ეს რომ აქ დავტოვო, ყველაფერს გადათელავს, გადაჯეგავს და გაანადგურებს. რა ვქნა? როგორ მოვიქცე? ქარხნისაკენ გზა ამ საცოდავმა არ იცის, თვალებიც არა აქვს! ფრთები?!“ ყვანჩალა რობოტს დააკვირდა, არც ფრთები აქვს! ერთხანს იქოთქოთა,მერე, რაც იქნება, იქნებაო, თუ მოვერიე ხომ კარგიო, კისერი წაიგრძელა, ნისკარტი ანტენაში ჩაავლო პაწაწინა რობოტს და ფრთები ღონივრად მოიქნია. „ისე, კაცმა რომ თქვას,—ფიქრობდა ყვანჩალა, — მე უფრო სრულყოფილი ვარ: თვალები მაქვს, ფრთები, ლამაზი ნისკარტი, გული, ვიცი ბუნების სიყვარული. ერთი ეს მეხსიერების ბლოკიც რომ მქონოდა?!“ ამოიოხრა და ძლიერ მოუნდა დაყრანტალება, მაგრამ ქვევით მდინარე გაწოლილიყო და შემკრთალმა ყვანჩალამ ნისკარტი მაგრად მომუწა.

მალე ქარხანაც გამოჩნდა. ყვანჩალა შეუმჩნეველად დაფრინდა ეზოში. პაწაწინა რობოტი ასფალტზე დასვა და დაღილ-დაქანცული იქვე ალვის ხეზე შემოჯდა. ეზოში მანქანები ხმაურობდნენ და ადამიანები ფუსფუსებდნენ.

— ამას აქ რა უნდა? — შემოესმა ყვანჩალას კაცის ხმა. ის პაწაწინა რობოტთან იდგა.

— რამდენი ვეძებეთ! — თქვა მეორე კაცმა, დაიხარა და რობოტი აიღო. ბავშვივით მიიკრა გულთან და ქარხნის კარს მიაშურა.

— ყვაა! — დაიყრანტალა კმაყოფილმა ყვანჩალამ. ფრთები მოიქნია და საზრდოს საძებნელად მდინარის რიყეს მიაშურა.

ვახტანგ გელოვანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია ასათიანი

ცუგოს ჰქვია ბროლია

რა სასაცილო ცუგო მყავს, იცი?
სადაც ვარ, მუდამ გვერდით მყავს იხიც,
გაკვეთილებს რომ ვისწავლი ყველას,
ტელევიზორთან დავსხდებით ხელად,
ვუხსნი ბროლიას: ეს მულტფილმია...
ეზო და სახლი, ფისო, ფინია,
კრუხ-წიწილები, ბიჭი, ბებია—
ეს ყველაფერი ნახატებია.
ეურს მიგდებს ჩუმად ჩემი ბროლია,
რა ჭკვიანია, რა გამგონეა.
მაგრამ ეკრანზე თუ ნახავს კატას,
დივანზე უეფით ახტება სხარტად,
გადაივიწყებს ჩემს ნათქვამს უცებ
— იღრინება და საჩხუბრად უტევს.

ნოდარ შამანაძე

ცხენოსანი

ცხენზე შეჯდომა მინდოდა,
სურვილმა არ მომასვენა.
შეეჯექი, თავი შეგონა
ოქროსფერი არსენა.
ვაიმე, ფერ გავაჭენე,
ფერ შეეფეთ თავის დაჭერა,
ტლინკები ეარა, პირს დამცა
და ხალხში გამომაჭენა.

შოთა ხოდაშვილი

ბოტები

ნინოს ბოტები უყიდეს
ოთხრი, კრიალა, ჭრიალა,
ეთხრეს—ტალახში ჩაიცვი
ასეთ ხიცხეში კი ამ...
გოგოს თვალებზე. ...
ცრემლები დიდრონ-დიდრონ...
თქვენ ეგ ბოტები ჩამაცვეთ,
ტალახს მე თვითონ ვიპოვნი...

სპილოს შვილი

მაია გოცვაძე

კატასა ჰყავს ციხდალი,
ან იგივე ენუტი.
ლორს—ლრუტუნა გოჯი,
მრგვალი, როგორც ბურთი.
კრუხს—წიწილა,
ინეს—ბუჭული,
მტრედს—ფუფუნა სუნდი...
ვირს—ჩოჩორი,
ძროხას—ხბო,
და ცხენს კიდევ—ყვიცი.
სპილოს შვილს კი რა ჰქვია,
დღემდე არვინ იცის.
ცხვარს ბატკანი თუკი ჰყავს,
ძაღლს თუკი ჰყავს ლეკვი,
ჩვენ შევარქვათ სპილოს შვილს
სპლატკანი ან სპლეკვი.

გამარჯობა, სოფელო

ოლეგ გველესიანი

ამზე ნარნარად ეღვრება
ქართლის ლამაზ მინდორ-ველს,
ზაფხულის დღე ბრდღვიალებს,
შეეთესს ვერ ინდომებ.
მიჰქრის მატარებელი,
დანდგარით და გრიალით,
უკან დარჩა მცხეთა და
ველი აშურიანის.
დედულეთის კორდები
უნდა მოვინახულო,
გამარჯობა, სოფელო.
გამარჯობა, ზაფხულო!

მხატვარი ირაკლი შარჯიანი

ნარგიზა მგელაძე

როცა ხანძარი გაჩნდა

ის-ის იყო სკოლიდან მოსულმა ვანომ ისადილა და გეოგრაფიის სახელმძღვანელო გადაშალა, რომ უცებ ყვირილი მოისმა: — არიქა, გვიშველეთო. ვანომ ფანჯრიდან გადაიხედა და დაინახა, ხალხი ერთი მიმართულებით, ფერმისაკენ გარბოდა; ზოგი ვედროს მიათრევდა, ზოგი ნაჯახს.

ბიჭს გულმა არ მოუთმინა და ხალხის ნაკადს გაჰყვა. ფერმას ცეცხლი გასჩენოდა, ქარს ნაპერწკალი ეზოში, დაზვინებულ თივაში გადმოესროლა და თივა ტკაცან-ტკაცანით იწვოდა. იმ არეულობაში ძნელი იყო რაიმეს გარჩევა. ზოგი ხბორებს ერეკებოდა, ზოგი ღობეს ჩეხდა. იდგა ბუღი და ნატისუსალი, ღრიანცელი და საქონლის ბღავილი.

მწველავი დარო არსად ჩანდა. უცებ ვანოს გაახსენდა, რომ დაროს თავის წლინახევრის ბიჭუნა ბუბა ზოგჯერ ფერმაში მიჰყავდა და საღამომდე იქ ჰყავდა.

— ვაითუ ბუბას სძინავს! — გაუელვა მას ფიქრმა და კარს ეცა. კარი ჩაკეტილი აღმოჩნდა.

— გამოდი, ბიჭო, აქეთ, ნუ გვედები ფეხებში, — დატუქსა ვილაცამ.

— ძია, აქ ბავშვი არ იყოს!

— რა ბავშვი, ბავშვს აქ რა უნდა? აბა, მოუსვი აქედან!

მაშინ ვანომ ეზოში დაგდებული ფიცარი მოათრია, ზემო ნაწილში დატანებულ პატარა სარკმელს მიადგა და ზედ კატასავით აცოცდა; სარკმელი ხელისკვრით გააღო და... თვალთ დაუბნელდა, ბავშვს მართლაც აქ ეძინა, მწველავთა დასასვენებელ ოთახში.

...ვანო მხოლოდ მაშინ შენიშნეს, როცა სახეშერუჯულმა და მურიანმა ბავშვიანად სარკმლის ძირას მოადინა ბრაგვანი.

ამასობაში დაროც მოვარდა.

საღსალამათი ბუბა რომ დაინახა, გულში ჩაიკრა გადარჩენილი შვილი. ხმამაღლა ტიროდა და კოცნიდა, კოცნიდა და ტიროდა.

— ვანოს უმადლოდე, ჩვენ არც კი ვიცოდით, აქ ბავშვი თუ გყავდა, — უთხრა დაროს დროულმა კაცმა, რომელიც ვედროს მოათრევდა.

დარომ მიიხედ-მოიხედა. ვანოს დაუწყო ძებნა, მაგრამ ვერსად შენიშნა.

იგი უჩუმრად წასულიყო.

მხატვარი თამაზ ხუციშვილი

ტაგუ მეგურიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეგოს მხარში ვუდგავარ

თინა ბებოს ვუდგავარ
მხარში,
სვრელი გავიწეთ,
ბებოს გუშინწინანდელ
ნათქვამს რა დამავიწყებს.
მამას უთხრა: არ გაგრჯი,
მე მივხედავ იმ ეანებს,
ოღონდ შვილიშვილები
ხშირად ჩამომიყვანე.
თეოთი და ლაშათი
აქვს ამ სახლ-კარს ლაზათი.

ბებოს მხარში ვუდგავარ,
ხელში თოხი მიჭირავს...
მელოდება სადილად
შებრაწული წიწილა.

ლილის ბატი

ლილის ბატი მიაბარეს,
დაეკარგა ბატი ლილის
და მთელი დღე ღელე-ღელე
დაემებდა მოწყენილი.
საღამოს რომ შინ დაბრუნდა,
ბატი სახლში დახვდა ლილის,
გაუხარდა და ბატს ყელზე
მოეხვია შუბლგახსნილი.

სოქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუთიყუშ ჟაკოს თავგადასავალი

1906, 1907, 1908

მამუკა სალუქვაძე

ვან-დერ ვანდერი მეთევზეობდა
ფახსაფლოუის ფართო ყურეში,
და არა ჰყავდა არვინ ბადალი
მთელ ისლანდიელ მებადურებში.
კუნძულზე ჟაკოს არ ასვენებდნენ
ვულკანები[1] და გეიზერები[2],
ხოლო წყალში კი აისბერგები,[3]
ყინულოვანი კრეისერები.[4]
როცა მობეზრდა კუნძულზე ყოფნა,
კვლავ კონტინენტის მოუნდა ნახვა,
ადგა ერთ დღეს და ევროპისაკენ
ერთ-ერთ პატარა აისბერგს გაჰყვა.
ძალიან დიდხანს იცურა ჩიტმა
და ბოლოს, თურმე, გოლფსტრიმში[5] მოხვდა.
სწორედ აქ, ერთობ გასაოცარი
და საკვირველი ამბავი მოხდა.

უცებ ყინულმა დაიწყო დნობა,
ჟაკოს ხომალდი ნელა ქრებოდა
და ოკეანე თვალუწვდენელი,
მასაც დახრჩობით ემუქრებოდა.
მაგრამ უეცრად, როგორც კოლუმბმა,[6]
წამოიძახა ჟაკმა — „ევრიკა“.
რადგან ნანატრი გამოჩნდა მიწა,
თუმცა არ იყო ეს ამერიკა.
არამედ გახლდათ სკანდინავია,
აკიდოსავით მთლად დახუნძლული
ერთად ასხმული და აკინძული
ასი ათასზე მეტი კუნძულით.
მოგზაურობა ჟაკმა დაიწყო
თურმე ნორდკინის თეთრი კონცხიდან,
თუმც დათოვლილი მთების თვალთვალი
თუთიყუშს ერთობ მალე მოსწყინდა.
დაღლილი, ბოლოს შპიცბერგენიდან
მომავალ ბარკის[7] ანძაზე დაჯდა
და შორეული ჰამერფესტიდან
ერთ მშვენიერ დღეს ბერგენში გაჩნდა.
ჟაკს მგლოვიარედ დახვდა ბერგენი,
სწუხდნენ კაცები, სწუხდნენ ქალები,
მთელი ქალაქი იყო შეძრული
თვით ედვარდ გრიგის[8] გარდაცვალებით.
წუხილს ის უფრო უძლიერებდათ
მოქალაქეებს, როგორც ეტყობა,
რომ ედვარდ გრიგზე ერთი წლით ადრე
ბერგენს იბსენიც[9] გამოეთხოვა.
დაჰკარგეს ორი უზარმაზარი
ადამიანი და ხელოვანი;
ორი ტალანტი, ორი გენია,
დაფასებული, სახელოვანი...
მაგრამ ცხოვრება თავის გზით მიდის,
მიწა ბრუნავს და დროც არ ჩერდება,
სამყარო ახალ გენიას ელის,
გენიას წარსულს ის არ სჯერდება...
და თუთიყუშიც დროს დაედევნა,
ბევრი სდია და ვერ დაეწია;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წელი გაფრინდა, ჟაკოც გაჰყვა და
ასე, წლის დამლევს სტოკჰოლმს ეწვია.
ერთხელ ვერმლანდის პროვინციაში,
რა პატარაა მართლაც ქვეყანა,
მოულოდნელად ჟაკო ქალბატონ
სელმა ლაგერლოფს[10] გადაეყარა.
პატარა ბიჭის, ნილსის ამბავი
ჟაკოს მწერალმა თავად აცნობა,
და მოხიბლულმა ჩიტმა ძალიან
მოიწადინა მისი გაცნობა.
და თუმცა ნილსი ვერსად იპოვა,
მაინცდამაინც არ უნანია,
სამაგიეროდ მოვლო შვეცია
და მიაშურა მერე დანიას.
თუმც დანიაში გასამგზავრებლად
როდი დასჭირდა გემი და ნავი;
ბორანს გაჰყვა და უმალ მალმედან
კოპენჰაგენში ამოჰყო თავი.

---

1. ვულკანი — მთა, რომლის გულიდან ამოინთხევა ცეცხლოვანი ლავა.
2. გეიზერი — ვულკანური წარმოშობის ცხელი წყარო, შადრევანივით მჩქეფარე.
3. აისბერგი — ზღვებსა და ოკეანეებში მცურავი ყინულოვანი მთა.
4. კრეისერი — შეიარაღებული სამხედრო გემი.
5. გოლფსტრიმი — თბილი წყლების დინება ატლანტის ოკეანის ჩრდილოეთით.
6. ქრისტეფორე კოლუმბი (1452-1506) — ცნობილი ზღვაოსანი, აღმოაჩინა ამერიკა.
8. ედვარდ გრიგი (1843-1907) — სახელოვანი ნორვეგიელი კომპოზიტორი.
9. ჰენრიკ იბსენი (1828-1906) — სახელოვანი ნორვეგიელი მწერალი, დრამატურგი.
10. სელმა ლაგერლოფი (1858-1940) — შვედი მწერალი ქალი, ავტორი წიგნისა „ნილს ხოლგერსონის საოცარი მოგზაურობა შვეციაში“.

მხატვარი სოფიო კინწურაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელგუჯა მერაბიშვილი

დედა ნამგალა

ხეობაში ნოტიო ქარმა დაიქროლა და მეტყევის ქოხთან კვამლის სვეტი წააქცია. ხეები აშრიალდნენ.

წვიმის მოახლოება ჰაერში მონავარდე ნამგალამ იმით შეიტყო, რომ მწერები შეცოტავდნენ და დაბლა დაეშვნენ — მყუდროებს შეაფარეს თავი.

დასავლეთის მხრიდან წვიმის ღრუბელი წამოიფოფრა, თანდათან გაიზარდა და მთელი ცა დაფარა... ჰაერი დამძიმდა.

დედა ნამგალამ სანავარდო არე მიატოვა და ჭალიანში გაუქროლა აგუნდავებულ ქინქლებსა და ჩეროებში მოწუწუნე კოღოებს.

ხეთა ფოთლებს წვიმის პირველი წვეთები დაეტყეპა.

— ჩიტმა თავის ბუდე იცის! — იყვირა კაჭკაჭმა, — წვიმაა, წვიმა.

ცაში ელვა გაიკლაკნა და ქუხილმა შეაზანზარა მდინარისპირას აღმართული პიტალო კლდეები. ჩიტებმა გნიასი მორთეს. ყველა თავის ბუდისაკენ მიფრინავდა.

დედა ნამგალას ბარტყები დაპურებული ჰყავდა და ახლა თავისთვის ეძებდა სარჩოს.

— ვიიუ!.. ვიიუ... ვიიუ! — ისმოდა ჰაერში მოქნეული ფრთების შხუილი.

უცბად ხმა იცვალა წვიმით მოშრიალე ტყემ, კლდეებზე სეტყვის მარცვლები ახტუნდნენ.

— სეტყვაა!.. თავს უშველეთ!.. — დაიჩხავლა კაჭკაჭმა და თხილნარის ხშირ კორომს შეაფარა თავი.

ფრთოსნები უცბად გაიკრიფნენ ველიან-ჭალიანიდან, ყოველი მათგანი ახლა თავის ბუდეში იყო განაბული, ვინ ფრთებქვეშ ამოფარებულ ბარტყებს ეფერებოდა, ანუგეშებდა, ავდრისაგან იფარავდა, ვინ კვერცხებზე იყო კრუხად გადამჯდარი და თავის დასველებას არად აგდებდა, ოღონდაც გამოსაჩეკად გამზადებული კვერცხები გადაერჩინა.

მხოლოდ დედა ნამგალა დაგნიასებდა ჭალიანებში. იქ რომ მწერები გამოილია, ახლა იმ მხარეს მიაშურა, სადაც ჯერ არ დაწყებულიყო წვიმა.

— საით, ბიძაშვილო, ბუდისაკენ გზა ხომ არ შეგეშალა?! — გამოსძახა კლდის ფოსოში შეყუჟულმა შაშვმა.

ნამგალამ ყური მოიყრუა, ახლა მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, მწერების გუნდებისათვის როგორ მიეგნო, რომ უეცრად თავს დასტყდომოდა; ბარტყები ნაკლებად ადარდებდა.

სეტყვის ღრუბლებმა გადაიარა, წვიმის ღრუბლებიც დაიჩუტა და კვლავ მზემ გამოანათა. დედა ნამგალა ახლაღა გაეშურა ბუდისაკენ.

ჭალიანში და მდინარისპირა კლდიან ფერდობებთან ერთი მოთქმა-ტირილი იდგა: ვინ დანგრეულ ბუდეს აკეთებდა, ვინ შეშინებულ ბარტყებს აშოშმინებდა. ორი ღაჯბატონა და რიგითი ღაჯიები კვერცხებზე გადაფოფრილ და სეტყვით თავგატეხილ კრუხს დასტიროდნენ.

კლდის ქიმზე, სადაც ნამგალას თავისი ბუდე ეგულებოდა, ცალთვალა ყვავი იჯდა, ილანძღებოდა და აქეთ-იქით აქნევდა სველ თავს. იქვე სხვა ჩიტებიც ისხდნენ.

— რიღასთვის მოფრინდი, სამივე ბარტყი მკვდარია, — მოლაღურმა ავად შეხედა ნამგალას, — მკვდრებს როგორღა უნდა შეხედო, დედა მაინც არ გერქვას!

— ჩემ ბუდეს სეტყვა ვერ მიუდგებოდა, ღრმა ნაპრალში მაქვს მოწყობილი, თავი ინუგეშა ნამგალამ, ჰაერშივე დაკეცა გრძელი ფრთები და ტყვიასავით შევარდა კლდის დარანში.

კლდის ქიმზე დამსხვრეული სეტყვის მარცვლები ხვრიში მარილივით ეყარა ბუდეს, ყინულიდან ძლივს მოუჩანდათ ღინღლიანი მხრები უსიცოცხლო ბარტყებს.

დედა ნამგალას არ შეუცხადებია, მოკლე შეხებით სეტყვის ხვრიშები გადააცალა გაყინულ შვილებს და მზეში გავლებული თბილი ბუმბული გადააფარა.

— ამას უყურეთ, ამ უტვინოს! ჰგონია გააცოცხლებს, — ნისკარტით გულისპირი ჩაივარცხნა გუგულმა, — კიდევ კარგი, ჩემი კვერცხიც არ ჩავუდე... დამიღუპავდა ბარტყს.

— შენი ბარტყის ძიძად ნამდვილად არ ივარგებდა ნამგალა, რადგან შვილებს ის სულ სხვანაირად წვრთნის, — მიუგო მერცხალმა, — აბა, აცალეთ და მერე ნახეთ, თუ არ მოასულიერებს.

ფრინველები გააკვირვა მერცხლის ნათქვამმა, მაგრამ ტყუილს რომ არ იტყოდა, ისიც იცოდნენ, ამიტომ შორს არ წასულან, ახლომახლო დაფრენდნენ, მწერებს იჭერდნენ, ბარტყებს აპურებდნენ და თან ნამგალას ბუდისკენ ეჭირათ თვალი.

სულ მალე დედა ნამგალა კლდის ნაპრალიდან გადმოეშვა და გრძელი ფრთებით ჰაერში გაიშხუილა.

— ვიიუ!.. ვიიუ!.. ვიიუ! — დასჭყიოდა ომახიანად მწერთა გუნდებს, ზედიზედ იჭერდა, რათა გემრიელი ლუკმა მიეწოდებინა უკვე მომშეული ბარტყებისათვის.

ბარტყები კისრებს იგრძელებდნენ, პირს აბჩენდნენ დედის მოლოდინში.

მათი მხილველი ფრთოსნები თვალებს არ უჯერებდნენ.

— ნამდვილად ჯადოსანია!..

— კუდიანია!..

— თილისმიანი!..

— ან კიდევ რაღაც წამალი იცის!

ერთმანეთში ირეოდა ხმები. მერცხალს ეცინებოდა.

— არც კუდიანია და არც წამალი აქვს დედა ნამგალას, მაგისი მთელი საიდუმლო იმაშია, რომ სხვანაირად წვრთნის შვილებს.

— მაშ ჩვენც რომ არხეინად შევეფაროთ სადმე და შვილები თავსხმა წვიმაში მივატოვოთ, გაკაჟდებიან!?. მეტი არ არის ჩემი მტერი, — ჩაიქირქილა კაჭკაჭმა.

— გაითოშებიან და ეგ იქნება! — კვერი დაუკრა ჩხიკვმა.

მერცხალიც თავის ქნევით დაეთანხმა, მერე კი ეს უთხრა:

— ნამგალები პაპის პაპის დროიდან წვრთნიან ბარტყებს და იქიდან მოსდგამთ ეგ გამძლეობა.

ბრუტიანმა ყვავმა ყელი მოიღერა, ხან ნისკარტით და ხან ჭკუით უკირკიტა მერცხლის ნათქვამს და ბოლოს დაასკვნა:

— რომ იტყვიან ხოლმე, შვილი გაზარდე მტრულადა, გამოგადგება მოყვრადო — ალბათ ეს არის.

ფრთოსნებმა ერთხანს კიდევ განაგრძეს ჟღავიჟღუვი, მერე ყოველი მათგანი თავის ბუდისაკენ გაფრინდა და თან სახსოვარივით წაიღო ყვანჩალას ნათქვამი.

მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვები

გივი გეგეჭკორი

ბავშვებო! მეცხრამეტე საუკუნის ფრანგი მხატვარი ოგიუსტ რენუარი ედუარდ მანეს თანამედროვეა. ალბათ გახსოვთ, ედუარდ მანეს სურათზე—ბავშვი რომ საპნის ბუშტებს უშვებს—ჩვენ აღრე ვისაუბრეთ, და აღვნიშნეთ, რომ მხატვარს ყველაფერი, რასაც ის აი, ამ წუთში ხედავს—სინათლის თრთოლვა, ფერების ერთმანეთში გადასვლა და შეერთება, ფერადოვანი შუქ-ჩრდილის თამაში, სანამ შეიცვლებოდეს, საღებავებით ტილოზე მანამდე გადააქვს. ამასვე აკეთებს რენუარიც.

მისი სურათი სიცოცხლის სიხარული და მშვენიერებაა. მშვენიერია გაზაფხული და რენუარი ხატავს გაზაფხულს. ბავშვობაც გაზაფხული და სიხარულია, ამიტომ რენუარი ხატავს ჭრელსამოსიან ბავშვებს, რომლებიც ათასფერ ყვავილებში დარბიან ან ვიოლინო უჭირავთ ხელში, ან პიანინოს უსხედან. რენუარის სურათი თვალის დღესასწაულია—იგი ხატავს ყვავილის თაიგულს, ფერადიალქნიან ნავებს, ცირკსა და ცირკის კლოუნებს, ფერადქოლგიან და მარაოიან ქალებს...

აქ დაბეჭდილ სურათზე ჩვენ გვიმზერს ის გოგონა, რომელსაც რენუარი ხშირად ასეირნებდა, ანებივრებდა და ეთამაშებოდა. ჟორჟეტა შარპანტიეს ოქროსფერი თმა ზურგზე აყრია, თეთრ-ცისფერ-ყვითელი კაბა და ცისფერი წინდები აცვია, და მისი ეს ჩაცმულობა კარგად ჩანს მუქ სკამსა და ჭრელ ფარდაგზე. გოგონას მზერა და ღიმილი იმ სიხარულს გამოხატავს, რომელიც რენუარს ჩვენთვის სურდა ეგრძნობინებინა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ბილის“ ეთნოგრაფიული კუთხე

დაიმახსოვრეთ ეს სიტყვა, ბავშვებო! ეთნოგრაფია არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის რომელიმე ხალხის კულტურის, წესჩვეულებების, ყოფა-ცხოვრების თავისებურებებს. აი, ჩვენ, ქართველებს, ჩვენი ეროვნული ტანსაცმელი გვქონდა, საკუთარი, ჩვენებური იარაღი გვქონდა მიწის დასამუშავებლად თუ მტერთან საბრძოლველად; ქორწილის, დღეობის, ურთიერთობის ჩვენი წესები გვქონდა; გვქონდა ჩვენეული ავეჯი, ჭურჭელი, სამკაული, ჩვენი ენა, დამწერლობა, ლიტერატურა, ხელოვნება... თქვენ უნდა იცოდეთ თქვენი მხარე, თქვენი სამშობლო... ამიტომ შემოვიღეთ ეს ახალი რუბრიკა.

ცირა ჭიტიაშვილი

ლიტრა და კოკა

ეს ლიტრაა...
ეს კი—კოკა.
კაცმა ტუჩი მოილოკა,
არ მჯირდება ფიცილიო,
წვალი იცის ცივცივიო.
მიაშურე წყაროსაო,
ლხინში მოგახმაროსაო.

კისკისა

გოგო, გოგო კისკისა,
სახლს თუ სუფთად არ დაგვი,
თქვი, სად უნდა დავფინოთ
ეს ხატულა ფარდაგი.
თქვი, სად უნდა გავშალოთ,
სალიჩა ან ჯეჯიმი,
ზედ ვარდი რომ გაშლილა
და ბიბინებს ჯეჯილი.
ბებოს თვალის სინათლევ,
ეკავილებს რომ უცინი,
ჯარა დამიტრიალე,
დადექ სახლში ბურჯივით,
მერე ერთად მოვქსოვოთ
ცისარტყელა ხურჯინი.

მხატვარი ლალი ლომთაძე



არნოლდ გეგეჭკორი

ცხოველთა „აღზრდა“

ცხოველებიდან შთამომავლობაზე ზრუნვას ყველაზე დიდ დროს ძუძუმწოვრები უთმობენ. ძუძუმწოვართა ნაშიერებს სხვა ცხოველებისაგან განსხვავებით მეტი წვრთნა სჭირდებათ, რადგან ნაკლებად არიან მზად ცხოვრებისეული სიძნელეების გადალახვისათვის. თუმცა აღზრდის ხანგრძლივობა მათ შორის სხვადასხვაა. ზოგის აღზრდას ნაკლები დრო სჭირდება, ხორცისმჭამელების „ბავშვობა“ კი უფრო ხანგრძლივია, რადგან მათ მეტი რამ უნდა შეითვისონ. თუ ანტილოპას ციკნისათვის საკმარისია მხოლოდ სიფხიზლე, დედის მახლობლად ყოფნა და სწრაფი სირბილი, ლომის ბოკვერმა ანტილოპაზე ნადირობაც უნდა ისწავლოს. ეს კი გაცილებით რთულია. ამიტომ ბოკვერებს მეტხანს უწევთ მშობლებთან ყოფნა და მათგან საჭირო ქცევების ათვისება. მართალია ისინი თანდაყოლილი იმპულსების წყალობით ნაწილობრივ ხვდებიან, რა არის მათთვის სახიფათო და რა — სასიამოვნო, მაგრამ ჩვევათა უმეტესობა თაობიდან თაობას მაინც სწავლების გზით გადაეცემა.

ოთხ წლამდე იკვებება დედის რძით ამერიკული მურა დათვის ბელი. მაგრამ მშობლები მაინც არ ტოვებენ შთამომავლობას იქამდე, ვიდრე ისინი დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის აუცილებელ „ანა-ბანას“ არ შეითვისებენ.

დედა დათვი თავის ახალშობილ შვილს, უმეტესად — წყვილ ბელ, ახლოდ გაზაფხულზე, ორი თვის ასაკში ხედავს; თებერვალში, ნახევარკილოგრამიანი ბელების გაჩენისას, ბუნაგში სრული სიბნელე სუფევს და ბელების არსებობას დედას მათი ხრჩიის სუნი და მოშივებისას ძუძუების ჯიჯგნა თუ აგრძნობინებს. დათვი ამ დროს ჯერ კიდევ ზამთრის ძილშია და ბელებს ნამდვილად მხოლოდ აპრილში ეცნობა, როცა ბუნება იღვიძებს, სიცივე უკვე მოტეხილია და რუ-ღელეებშიც საკმაო სასმელი წყალია ჩამდგარი. პირველ რიგში დედას წესრიგში მოჰყავს ბელები. ბუნაგში მათ მუცლის ნაზი და მოკლე ღინღლი ჰქონდათ, რომელიც ბუნებაში „გასვლისას“ სქელი ქურქით იცვლება. დედა გულმოდგინედ ლოკავს და ასუფთავებს შვილების „ტანსაცმელს“.

ბელების პირველი ინსტინქტი დედის გამოდევნებაა, მაგრამ ჯერ ისინი სათანადოდ არ მომძლავრებულან და ყოველ ნაბიჯზე სასაცილოდ ეცემიან.

ძუ დათვი, რომელმაც მთელი ზამთარი ბუნაგში გაატარა, ახლა წყურვილით გაფიცხებულია და ხარბად ყნოსავს ჰაერს, რომ გაზაფხულის შხაპუნა წვიმებით ტყეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

18207



დატოვებულ გუბეებს მიაგნოს. უმწეო ბელების შორს ტარება ძალიან სახიფათოა. ამიტომ მდედრი ისევ ბუნაგში შერეკავს ბელებს და რაღაცას წაუბურდღუნებს. დათვურ ენაზე ეს „რაღაც“ ნიშნავს, ჩემს დაბრუნებამდე ცხვირი არ გამოჰყოთ გარეთო.

ძუ დათვი ძაღლური წესით იკლავს წყურვილს და ჩქარი ძუნძულით უბრუნდება ბუნაგს. ასე იწყება მისთვის ათასგვარი საზრუნავით სავსე დაძაბული ზაფხული. დედამ უნდა ასწავლოს ნაშიერებს, თუ სად არის ყველაზე ანკარა წყარო, ყველაზე ნესტიანი მდელო; გაზაფხულობით სად შეიძლება გემრიელი, საკვებად ვარგისი ფესვების ამოთხრა, ზაფხულობით — ხილისა და კენკრის მოპოვება, შემოდგომაზე — თხილით, წაბლითა და რკოთი პირის ჩაგემრიელება; სად უნდა მიაგნონ ყველაზე მეტ მინდვრის თაგვს,სად ცხოვრობენ თრითინები? როგორ უნდა მოიქცნენ ხის ფუღუროში თაფლის პოვნისას? სად არის უშრობი გუბეები და ტბორები, სადაც ბელები მაწუხელების, კოღოებისა და კრაზანებისაგან თავის დასაცავადაც იგორავებენ და, რაც მთავარია, მოიშორებენ ძველ, გაუხეშებულ, გაქუცულ და შემაწუხებელ ბენვს, რომლის მაგივრად ახალი, უფრო ფაფუკი ბეწვი გაეზრდებათ.

დათვი ბელებს უჩვენებს ზურგის მოსაფხანად ყველაზე მოხერხებულ, გადაბერებულ კუნძებს, ეშვებისა და ბრჭყალების საღეს ხეებს. ხეები დათვის მოდგმისთვის სხვა მხრივაც გამოსადეგია. ხეთა ზროზე დარჩენილი ნაკაწრებისა და ნაჭდევების ზომის, სიღრმის, სიმაღლის და რაოდენობის მიხედვით, გარდა ამისა დატოვებული კვალის სუნის სიმძაფრის მიხედვით დედა დათვი შეუცდომლად საზღვრავს, რამდენი დათვია სამეზობლო ტერიტორიაზე, ამასთან, სადმე ახლოს ხომ არ არის მამალი დათვი, რომელიც ჩვეულებრივ, ერჩის ბელებს.

დედა თავის ბურთივით მრგვალ ბელებს ასწავლის ვარგისი საკვების გარჩევას უვარგისისაგან, გველებისა და მაჩვ-ზღარბებისაგან თავის არიდებას, კლდის ნაშალებზე გავლის, ანდა ფართო მდინარეების გადაცურვის უაზრობას, სწრაფ მდინარეზე ქარნაქცევი ხის ხიდად გამოყენებას...

შემდეგ ბელი უნდა დაეუფლოს ხეზე ცოცვას. ხის კენწეროზე მას ვერაფერს დააკლებს მგელი, სიმძიმის გამო ვერ მისწვდება ვერც მამალი დათვი, მაგრამ დედა იმასაც ასწავლის შვილებს, რომ წიწვიან ხეებზე არ აცოცდნენ, რადგან შეიძლება ხეს ქერქი მოსძვრეს და ბელებმა დაბლა მოადინონ ზღართანი.

ბელის თანდაყოლილი უნარია მდინარეში კალმახებზე ნადირობა, მაგრამ ამას უფრო სწრაფად და კარგად სწავლობს, თუ ხედავს, რა მოხერხებულად თევზაობს დედამისი. დედა აჩვენებს პატარებს ქვის ქვეშ დამალულ კიბორჩხალებსაც.

ცხოველთა ნაშიერებში დათვის ბელები საოცარი სიცელქით გამოირჩევიან. ამიტომ დედა მუდამ ფხიზლად ადევნებს თვალს თავის ონავრებს და, რაც მთავარია, ასწავლის მათ ყურისგდებასა და მორჩილებას.

როგორ აღწევს ამას? პირველ რიგში, დედა ცდილობს, დაასაქმოს შვილები. ცელქობა ცელქობად, მაგრამ, ბელებს მოსწონთ უფროსებთან საქმიანი ურთიერთობაც. თუ დღეს ერთმა ბელმა თაგვი დაიჭირა, მეორე ხვალ თევზის დაჭერას მოახერხებს. დედაც ამხნევებს მოზარდებს, ისინი იგებენ საკუთარი შრომით მომკილი მოსავლის გემოს და შემთხვევითი წარმატებები თანდათანობით ჩვევებში გადაეზრდებათ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვლადიმერ დალი

მოხუცი მეწლე

გამოჩნდება მოხუცი მეწლე. აიქნევს ხელს და გამოფრთხიალდებიან მისი სახელოდან ჩიტები. ყველას თავ-თავისი სახელი ჰქვია.

პირველ აქნევაზე სამი ჩიტი გამოფრინდება და ირგვლივ სუსხი და ყინვა დაისადგურებს.

მეორედ აიქნევს ხელს მოხუცი მეწლე და კიდევ სამი ჩიტი გამოფრინდება მისი სახელოდან, თოვლი დნობას იწყებს, მინდორი ყვავილებით გადაჭრელდება.

მესამედ აიქნევს ხელს, და ახლა მესამე სამეული გამოფრინდება მისი სახელოდან.

პაპანაქება სიცხე ჩამოწვება, ჰაერი ჩაიხუთება, გლეხები ქერის მკასა და ლეწვას აჩაღებენ;

მეოთხედ აიქნევს ხელს მოხუცი მეწლე და მეოთხედაც სამი ჩიტი გამოფარფატდება მისი სახელოდან, ცივი ქარი დაუბერავს, წვიმა წამოუშენს, ყველაფერი ჯანღსა და ბურუსში გაეხვევა.

ეს ჩიტები უბრალო ფრინველები როდი არიან. თითოეულს ოთხი ფრთა აქვს და ყოველ ფრთაში შვიდი ბუმბულია. ბუმბულებს, ყველას თავისი სახელი ჰქვია. მათი ერთი ნახევარი თეთრია, მეორე შავი. აიქნევს ჩიტი ფრთას და განათდება, მეორე ფრთას აიქნევს და ჩამობნელდება.

ხომ ვერ მეტყვით, რა ფრინველები მოფრინავენ მოხუცი მეწლის სახელოდან? ან რა ოთხი ფრთა აქვს ყოველ ჩიტს? ან რა შვიდი ბუმბულია თითოეულ ფრთაში? ან ის რას ნიშნავს, რომ თითოეული ბუმბულის ერთი მხარე თეთრია, მეორე კი — შავი.

თარგმნა დიომიდე იმნაძემ.



ფიქრია ქაჩლიშვილი

ამ ნახატზე **16** ერთმანეთთან დაკავშირებული წრეა გამოხაზული. წრეებში ბელურები სხედან. ყოველ მათგანს ისე უნდა მიუტანო საჭმელი, რომ ერთსა და იმავე გზაზე მეორედ არ გაიარო. მოძრაობა იმავე წერტილში უნდა დაამთავრო, საიდანაც დაიწყე.

გამოცანები

გიორგი წერეთელი

რის ფაფარი,
რა ფაფარი,
ტანსაფარი,
თავსაფარი,
სახელს ხუთჯერ გეუბნები,
თქვი, რაღაა დასაფარი.

ეკატერინე გაგლიშვილი

ორი მთა ზურგზე ჰკიდია,
შიგ უდევს საჭმელ-სასმელი,
უდაბნოს შვილობილია,
მიხვდი რა არის? ა . . .

ასკინკილა

თენგიზ ლორთქიფანიძე

(ენის გასატეხი)

ასკინკილა, ასკინკილა,
ცალ ფეხზე ხტის ბიჭი ილა,
კენწლავს, კენწლავს უშეცდომოდ,
ერთი შეხეთ, რა ყოფილა;
ეჯიბრება გიგლა ილას,
გიგლა არის ილას კბილა,
გიგლამ მაძღრად ისადილა,
არ გამოსდის ასკინკილა,
ვერ აკენწლა ხუთზე მეტი
ეს გაძღომა რა ყოფილა?

დილა

საქართველოს ალკკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი უმცროსკლასელთათვის.

გამოდის 1928 წლიდან.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა.

მთავარი რედაქტორი
ენვერ ნიჟარაძე

სარედაქციო კოლეგია: ედუარდ ამგბუკაძე, ილია ანთელავა, ლამარა გაგუა, მერი დავითაშვილი, სოლომონ დემურხანაშვილი, ლეილა ერაძე, გელა ლოსაბერიძე, მაყვალა მრევლიშვილი, ჯურხა ნადირაძე, გიორგი როინიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), თენგიზ ჩალაური (პ/მგ. მდივანი), გივი ძნელაძე, გივი ჭიჭინაძე, მარინე ხარატიშვილი.

ტექნიკური რედაქტორი
ენდი წერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: მთ. რედაქტორის 93-41-30, 93-98-15; პ/მგ. მდივნის 93-10-32, 93-98-18; სამხ. რედაქტორის — 93-98-18; განყოფილებების: 93-98-19; 93-98-17.

გადაეცა ასაწყობად 27. 03. 86 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 4. 06. 86 წ., ქაღალდის ზომა 60×90 1/3, ფიზ. ნაბ. ფურც. 2,5. ტირაჟი 168.000, შეკვეთა 787.

ყდაზე ნახატი ნანა ჭურღულიასი

«Дила» («Утро»), ежемесячный журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации им. В. И. Ленина для младшеклассников, на грузинском языке.

Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии.

Главный редактор Энвер Нижарадзе (тел. 93-41-30).

Адрес редакции и издательства: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.

Объем 2,5 печатных листа, тираж 168.000. Заказ № 787.

ფასი 20 კაპ.

662/95

ინდექსი 76055

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ლიქი"

საბავშვო ჟურნალი

ლაზა ჯაფარიძე, 8 წლისა.